

ქვეყნის პატრიარქი

ეროვნული
გაზეთი
იუმორისტ.
ჟურნალი

№ 52

ფ644



ქირისუფალი სასიამოვნოა და სანუგეშოთ ისა გვაქვს
ბ-ნო თედო, რომ ბავშვი პირწივარდნილი თქვენი გამოსა-
ხულედაა.



„მთა“ მიხტვლის თჯახვი

(საშობაო მოსაწყენი ამბავი)

ბენდიერი შემოსევდა, რომლის შესახებაც მე თქვენთან საუბარი მსურს, ერთი წლის წინეთ მოხდა.

ქ-ნი სახალხო*) ფურცელადისა კარგა ხანია ფეხ მიძიმეთ იყო. ალბათ იმის გამო, რომ მას პირველი შვილი უდროით მოსწყდა და ახლა მეორეზე გახლდათ ფეხმიძიმეთ, ქალბატონი სახალხო ფურცელადისა თავს კმაყოფილათ გრძნობდა: კარგათ სკამდა, კარგათ სვამდა, კარგი მოღებენც ჰქონდა. ან კი რატომ არ უნდა ყოფილიყო კარგს გუნებზე? მთელი ქართველი თავდაზნაურობა, ასეთივე სამღვდლოება და აგრეთვე ქართველი მსხვილი ბურჯუაზია მას ეალფერებოდა, თავს ევლებოდა და ყოველისფრით ანებიერებდა. როდესაც საჭირო იყო რაიმე ცნობის ვაგრტელება, მაშინვე ქ-ნი სახალხო ფურცელადისას მიმირთავდენ. ის მსწრაფლ მივლ თავდაზნაურობას მოჰფენდა ამბავს და ამისთვის ჩინებულ ვასამარჯელოს იღებდა. ბავშვები ჰყავდათ აღსაზრდელი, მასვე მიმართავდენ და ამისთვისაც ოქროსა და ვერცხლში სვამდენ. საჭმე ექნებოდათ სასამართლოში, მაშინაც ქ-ნი ფურცელადის დახმარება იყო საჭირო. და აი სწორეთ ამისთვის ულოლიაეებდენ და ანებიერებდენ მას.

ქართველი გლეხებისა და მუშების თანაგრძნობა იმ დროს არც თუ ძლიერ საჭირო იყო ქ-ნი სახალხო ფურცელადისათვის. მხოლოდ ხანდისხან თუ გახლდა იგი მათ თავისი ყურადღების ღირსათ და ისიც ისეთის მედიდურობით, რომ ყველა აშკარათ ხედავდა ნაძალადევი აღერისისა და ღიმილის სარჩულს.

მაგრამ სწორეთ ქ-ნი სახალხო ფურცელადის სიმძიმის პირველ ხანებშივე, თითქოთ მოულოდნელათ, მოველინა ჩვენს ქვეყანას ახალგაზრდა ქერივი წენინა საქართველა კლდიაშვილისა. მან უკებ მოაჯადოვა როგორც ჩვენი ბრწყინვალე წოდება, აგრეთვე ქართველი სამღვდლოება და ბურჯუაზიაც.

*) სახალხო,—თუმცა დიდათ უცნაური მაგრამ მაინც სახელია ქალისა.

მართალია ამ დროს ქ-ნი სახალხო ფურცელადისა თვეში ჯერ კიდევ არ იყო წინაშე, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც ვაზრტად საშინელი ტკივილი მუცლისა. ექიმების აზრით ევ სულ სხვა მუცლის ტკივილი იყო, და მას ორსულობასთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა. ექვებით ბევრი სხვა და სხვა აზრი გამოითქვა ამ საგნის შესახებ, მაგრამ დანამდვილებით ჯერაც არავინ იცის, თუ რამ გამოიწვია ევ წინასწარი მუცლის ტკივილი.

ერთი კია: ამ უდროო მუცლის ტკივილმა განსაკუთრებით გველენა მოახდინა ქ-ნე და ღრმათ დადიქრა შესახებ მომავალისა. მართლაც თითონ ქ-ნი სახალხო ფურცელადისა სულით და გულით არისტოკრატია, თავდაზნაურთა სისხლი და ხორცი, იმის აზრებსა და იდეალებზე აღზრდილი. მას არსებითად არ შეუძლია თავი გაუყაროს უბრალო ხალხს, თავმოყვარება ნებას არ მისცემს სატრფოთ გლეხს, ან მუშა აიყვანოს. მან არც იცის იმათი ენა, იმათი ზნე ჩვეულება; არ იცნობს მათ სულსა და გულს; არ იცნობს და არც შეუძლია გაგება.

მას არ შეუძლია, და ყოველივე ეს საჭირო კია, თავდაზნაურობისა და ვაქარ-მრწველთა ჩამოშორება კეთილ ცხოვრებას მიჩვეულ ქალბატონსათვის ერთობ ძნელი და საგრძნობელია. საჭიროა სხვა ვინმე. და ეს სხვა ვინმე ვინ შეიძლება იყოს, თუ არ გლეხ-კაცობა და მუშები? იმათზე უნდა დაამყაროს მან თავისი მომავალი კეთილდღეობა და ამიტომ საჭიროა კავშირის აღმდგენი, მათთან მიმსგეღი, მათი მომყიდველი და მომჯადოებელი. ცხადია ეს როლი უნდა იკისროს ქ-ნი სახალხო ფურცელადის შვილმა, იმ შვილმა რომელზედაც აი ეს ამდენი ხანია ფეხმიძიმეთ არის.

მართალია ეს მომავლის „აბრაში“ თავდაზნაურობა ნაშთია, მაგრამ ის იძულებული იქნება უდალარტს თავისიანებს და ამგვარათ ლალტი შეიტანოს სხვებშიაც. საქმისათვის ევ სულერთია. ამ მოსაზრებით ქ-ნი სახალხო ფურცელადისა ძლიერ უფერთხილდებოდა მუცელს. ქართული ინდაზხომ ტყვილათ არ ამბობს: „სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“.

ამ მიზნით მან პირველ ყოვლისა ინახულა ცნობილი მკითხავი ქ-ნი თვკლე, აუხსნა გარემოება, გაასინჯა ხელის ვული, კარტიც გააშლია და

სასურველი პასუხით გულდამწვდებელი სახლში დაბრუნდა. მკითხავის აზრი დაახლოებით ასეთი იყო :

— თქვენი შვილი ჩემის შეხედულებით ან ვაჟი იქნება, ან ქალი, ერთის კატეგორიული შენიშვნით,—თუ ორივე სქესს მოკლებული არ გამოდგა. მას დიდი მომავალი მოეჩინა: იგი დალატი სა და უნდაობის ნიადაგზე აავცებს თავის მომავალ კეოილდღეობას. რენეგატობა მისი სამოკმედლო გეგმა იქნება, ხოლო „ყოფილაკობა“ კი ილგაი. მის გარშემო შემოკრებიან მსგავსი მისნი დი თქვენს სახელს მოჰყენენ კიდით კიდელძეღ.

ქნმა ფურცელაძისმა ინახულა სხვა მკითხავე ბიკ, მაგრამ პასუხი არსებითად ერთი და იგივე იყო. ყველანი ერთობიად გაიძახოდნენ, რომ ახალშობილს, მხოლოდ ერთად ერთი გზა ექნება ცხოვრებაში,—გზა ლალატისა და მოლაღატეთა შეკავშირებისა.

— იგი არ მოერიდება არავითარ საშუალებას, რომ სახელი თქვენი დიდებულ ჰყოს—დაამთავრა ცნობილმა მკითხავმა ქილილამ.

ქნი სახალხო ფურცელაძისა იმედით ივისო და დაკარგულ ბედნიერებას ახალის მოლოდინით ივისებდა. და აი, ერთ მშვენიერ საღამოს ქნი სახალხო ფურცელაძის ოჯახში დიდი ფაცაფუცი შეიქნა. ლეიბ-დოსტაქარი, ლეიბ-ბებიანი, ლეიბ-ძიძანი და სხვა საქირო სავეტილისტინი ბუზებივით ირეოდნენ მისი სარეკლის გარშემო. ბავშვი ჯერ დაბადებული არ იყო, მაგრამ უკვე ბევრი იცნობდა მას მკითხავთა ნათქვამიდან. წარჩინებულნი ერთმანეთს სანაღვოს უღებდნენ მისი სქესის შესახებ. გიორგი ამბობდა:

— ყოველივე ეშვს გარეშეა ვაჟი იქნება, ვინაიდან ქალი არ იქნება.

— ჩემის აზრითაც ვაჟი იქნება, მით უმეტეს, რომ ქალი სასურველიც არ არისო,—ბრძანებდა არჩილი.

— ვაჟი რო იქნება ამაზე ლაპარაკი მეთი, ვინაიდან პირველი შვილი უღდეური ჰყავდა და თანაც ქალი იყოო,—მოგახსენებდათ ოსები.

განსაკუთრებულ აზრს მხოლოდ ბნი სამსონ პირველი იცავდა.

— მიკობს, დმერთმანი, (მოარწმუნე კაცია), რა განსხვავებასა ჰპოვებთ ვაჟსა და ქალს შორის.

განა სულ ერთი არ არის? განა თვით დიდმა შობამ არა თქვა: „უკვე ლოცნის დასრულებული იყოს, გინდა ხედაია“-ო. ჩემთვისაც უფრო სასურველია ვაჟი, მაგრამ მოსალოდნელია ქალიც დარჩეს.

დიდებული თედორე ცხარედ გამოეკამათა სამსონის მოსაზრებას და განაცხადა:

— აშკარა ბნი შობა აღნიშნულ ტაემში მხეცებზე ლაპარაკობს და არა აღმანიებზე, ვინაიდან ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ აფრიკაში, და სხვაგანაც, ჯერ კიდევ დღესაც არსებობს მხეცთა ჯიში, რომელსაც ლომი უწოდებია.

საინტერესო კამათის ბოლო მხოლოდ ახალშობილის საზარელმა წივილმა. ის ჯერ კიდევ სრულად არ იყო დაბადებული, რომ იგრძნო დასაწყისი არსებობისა და ხმა ამოიღო. მალე გამოირკვა, რომ ბავშვი მართლაც იშვითი არსება იყო: იგი უსქესო გამოდგა. ამ გარემოებით ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ, ვინაიდან დადებული სანაღვლო არავის სასარგებლოთ არ გადაწყვეტილა.

საერთო აღტაცებას ისიც უწყობდა ხელს, რომ როგორც ჩვენს სურათზე არის აღნიშნული, (იხ. პირველი გვერდის სურათი) ახლად შობილი სილამუზითა და თითქმის სხვა ყოველივე გარეგნული ნიშნებით განსაკვირვებლათ წააგავდა ბნი თედოს. ეს სასიამოვნო ამბავი, ბნმა გიგამ ამ სიტუციებით აღნიშნა:

— სხვა მრავალ ღირსებათა შორის ახალშობილი პირწავარდნილი თქვენი სახიერებაა, ბნი თედო; ამიტომ ქნმა სახალხო ფურცელაძისამ საბოლოოთ გადასწყვეტა მისი აღზრდა და ცხოვრებაში მისი ხელმძღვანელობა თქვენ მოგანიჭოს.

— გარწმუნებთ არც შესთება,—ჩვეულებრივის კრძალვით მიუგო თედორემ,—ჩემზე უკეთესს სხვას ვის ნახავს ქართველთა შორის? ესეც არ იყოს, მე უკეთ ვიცი ბავშვის დანიშნულება. ჯერეთვე დელავს და ირბევე, როგორც ზვირთი. მე ჩაებრავ მას სულს უკვდევისისა და პატარა ზვირთი ჩემი სუნთქვის ქარიშხალზე მძლიერ ტალღებათ გარდაიქცევა, რომ დაამსხვროს მსოფლიო და მის ნანგრევებზე აავგოს საქართველო.

მართლაც, საერთო სურვილის თანახმად მიენდო თედოს ახალშობილის მოვლა პატრონობა და ისიც ენერგიულათ შეუდგა თავის საქმეს. აღზრდელი მას „ზვირთს“ ეძახის. ბავშვი უკვე წამოიზარ-

და. მას საესებით აღმოაჩნდა მკითხავთაგან ნაჩვენები თვისებები. ქ-ნი სახალხო ფურცელაძის განუსაზღვრელი იმედის თვლით შესტკერის მას, ხოლო აღმზრდელი და ხელმძღვანელი ბავშვისა მულამ ხელში ათამაშებს და ამბობს:



— ხალხნო, შეხედეთ ჩემს გვრიტუნის, განა ამაზე უფრო ლამაზი, ამაზე მეტათ საღი შეიძლება რამე?

მოკიედი.

(ბათომში შექმნილი ლეგენდა. *)

იყო და არა იყო რა, ღვთის უტყუარსი რა იქნებოდა!.

იყო ქალი თვალ-წარმტაცი მშვენიერებისა. მისი თვლები ღამეზე უშავესი იყვნენ და მისი ლოყები ღალზე უწითლესი. „მთის მწერავალთა თოვლი პუქი სჩანდა მის სითერესთან, ყორნის ფრთა ნაკრის ფერი იყო იმის თმის ნაწნავებთან შედარებით; ბროწეულის ყვავილი ყვითელი გვონებოდა ადამიანს მის მარჯნის ფერ ტუჩებთან“... სმოთხის წალკოტში რომ გაველო, ვარდუვალინი სირცხვილით თავს დახზრიდნენ და შურისაგან ცრემლის ნაცვლად ფოთლებს დააფრქვევდნენ.

მამა კაცს თვალი არ მოუკრავს მისის პირისიხისათვის... დამუყვედულ იყო პონტის ზღვის პირად მიუვალ კლდეზე ამართულ კოშკში... „ასი ცალთვალა და ორასი სამთვალა მღვეი დააყენა მრისხანე მამამ მის მკველად“...

სახელი მისი იყო ალერსი.

მთელ მსოფლიოს ელვის სისწრაფით მოედვა ალერსის მშვენიერების ამბავი.

ყოველის კუთხით დაიძრნენ ჰაბუკნი გმირნი, რაინდნი სახელოვანნი, ბრწყინვალე გვართა შთამომავალნი, სვიანნი, თუ ლატაკნი, მსწავლულნი თუ უფიცნი ზ სიხოვეს ალერსს ცოლობა, მაგრამ ამაოდ...

ყოველ დღე, დილიდან დაღამებამდე კოშკის ფანჯრის წინ, თუ თვით კოშკის დარბაზში გაჩაღებული იყო ცხენთა ჯირითი, კენწლაობა, მიზნით სროლა, ბურთაობა, ლექსთა ახზვა, სიმღერა-მუსიკობა, ცეკვა თამაში, მეცნიერული კამათი... ყველა მოწადინებული იყო დაემონა მშვენიერი ქალწულის გული... მაგრამ ალერსის გული აშოკათათვის ისეთივე მიუვალი იყო, როგორადაც მისი ციხე-კოშკი.

მიდიოდა დრო და ჰაბუკნი, ალერსის გულის მაძებარნი, დაღლილ დაქანცულნი, დამარცხებულნი, გაწილებულნი, გულმოკლულნი ბრუნდებოდნენ თავიანთ ქვეყნებში.

მშვენიერი ალერსი ყველასათვის მიუწოდამელი

*) ეს ლეგენდა შექმნა გ. გელოვანმა.

რჩებოდა ვითა მარგალიტი ზღვის უფსკრულში, ვითა ვარსკლავი ცაში...

მხოლოდ ნატვრა, მხოლოდ ოცნება-ღა დარჩენოდა ნუგეშით გულმოკლულ აშიყთ.

გავიდა დრო...

და დადგა დღე...

მრისხანე მამისათვის დღე საზარი და შეგბენილი მოკული.

მშვენიერ აღერსს დაეტყო ფეხმძიმება...

შურაცყოფილ მამის მრისხანე ღრიალი აღეღებულ პონტის ზღვის ზვირთებსაც-კი აჩუშებდა... იგი ჰგავდა მრისხანე ცას, რომელიც მზა არის ჩამოიქცეს და წალეკოს დედამიწა.

სასახლე შეგებით შეიშოსა და ლხინის ნაცვლად გაისმა ტირილი და გოდება.

დაიწყო აღერსის წამება.

იგი ჩაჰკეტეს სარდაფში თავგებთან ერთად. მიწის საწოლი იყო ცივი მიწა და საცეები—პური და წყალი. ამ წამებით სურდათ გამოეტეხნათ, გაეგოთ—ვისია ბავშვი, მაგრამ ამაოდ...

აღერსი სდუმდა ვითა სამარე.

რაკი წამებით ვერას გახდნენ და სურვილი კი დიდი იყო—გაეგოთ ვინ იყო აღერსის გულის დამპყრობი, მშობლებმა გამართეს თათბირი და დაასვენეს—მოიწვიონ მარჩიელი.

დანიშნულ დღეს შეკრბნენ დაჩაგრულ მამის ნაცნობ-მეგობარნი და მოვიდა მარჩიელიც.

მარჩიელმა აღერსს დახედა ხელზე და ასე სთქვა;

მშვენიერო ქალწულო, დიახ, შენ ორსულათა ხარ!... მაგრამ ორსულობა შენი არ არის ჩვეულებრივი და ნაყოფიც შენი მუცლისა არაჩვეულებრივი იქნების. შენ გეყოლება ვაჟი, რომელიც გაიზრდება არა წლობით! ეხლანდელი სისხლის ღვრა და ომი არ გათავდება მანამდის, სანამ იგი არ დავაჟკადდება, ხოლო იგი დაამარცხებს მტერს, მოსპობს ამსისხლის ღვრას და ქვეყანას განათავისუფლებს უბედურობისაგან.

ზ ლ ა კ ე რ ი

მე მოვახსენებთ ამავეს ძველებურს, (იმედითა მაქვს რომ დამიგდებთ ყურს).

იმ დროს, როდესაც საქართველოში, (ამ ედემის მსგავს ტურფა მდელიოში), იყო ტყეები: უტები, ვრცელი, (ასწლოვანები: მუხა, წიფელი), გადაქიშული შორიდან შორა, ირგვლივ გაშლილი ვაკე, მთა, გორა; როს ეგ ალაგი, ესე ტყეველი, იყო მხეცების საცხოვრებელი:

სტრასს ხუთმა დავგანსი

(გურიის ცხოვრებიდან)

სოფელი ტალ პუზუნდი კარგა მოზრდილი სოფელია. მართალია მცხოვრებთა რიცხვი, არც წინეთ ყოფილა დიდი და არც ახლა არის, და არც სოფლის კანცელარია და სკოლაა შიგ, მარა, მაგივრათ აგურ ჩემ მახსოვრობაშიც ან სოფლის ძირითადი მოსახლე, სიმონა ბარდნაღაძე კომიტათ და აღგესანდრე ტრახახაძე—პოპოშნიკათ იყვენ არჩეულნი. ორი სამიოდ „ბოზიკიც“ იყო. ახლაც თვალწინ მიდგა ბებია ჩემის სიტყვები (ცხოვრებულმა აგურ ორმოცი წელაწაღია თქვენი ჰარი წაილა)—მამა ჩემიდან გამიგონიაო, რომ ამ სოფლიდან ერთხელ მამასახლიც კი აირჩიესო; ძალიან ყოჩადი და დარდიმანი მამასახლისიც გამოდგა და სხეას სულ არ გვანდაო. მის დროს ჩენი სოფლიდან არც სახელწოდება გზაზე აწვევდენ და არც ურმებით ბარგის სახიდავათო. მაგიორში მასაც დემერტი შევლოდა და ისე გამიდრდა და ისეთი სახლი წამოქინა, რომ გურიელი ინატრებდაო.

სოფელი რაღაც ძალის ენასავით არის ორ მდინარეს შუა გაწოლილი. სწორეთ ძალის ენასავით—თუ ენას კლიტის მხარეს სწორათ მოსკურით. მაინცა და მაინც მოსავლიანობას სოფელი ვერ დაიკვებინს და ვერც სიმდიდრეს, მარა რაც სოფლის თავი და თავი ღირსება,— აქ აზნაურები ბლომად არიან და თითქმის სოფლის მეოთხედს სასულიერო წოდება შეადგენს. ამას გარდა ბარე ოთხი ძალიან პატარასივე მოზარეა, ერთი კარგი სატალიბაშე, ორი სამი ვაჰარი, ერთი მეწაღე (ანუ ზაპოშნიკი) ერთი მეფურნე, ოთხი ხარაზი და ერთი ცტარანის ვაჰარი; (ერთი მკვასეა, მარა ამხუდ ლაპარაკი არ ღირს.) როგორც ხედავთ ამისთანა თავადირილ სოფელში ვაგლახათ მამასახლისი ვერც კი ჩამეხედავს და სოფელიც ძველთაგანვე ღვთისაგან ნაკურთხ ძილს არ იფიწყებს და სხვა სკოლებიან დაბა სოფლებივით თრიდ აბუზუნებულა იმ მოქადაგე—რახმელების დროს. ის ძველებურათვე განაგრძობდა ყოველ ახალი წლის წინა დღეს ცხემლის შერის ჰრას, ახალ წელიწად საღამოს „აგუნას“ ვადაძახებებს მოზრდილი ღორის

თავით, თავის დროზე ქათმის ფერკეს და „აგიდელას“ ყურძნის კრეფაზე. **ერეკენული**
განაგრძობდა და ამისთინა **მეწაღე** სხვილს არ სქამდა. მისი აგუნას ხმა მეორე მესამე სოფელშიც უნდა მისულიყო. ამას ის ვარემოებაც უწუობდა ხელს, რომ სოფელი რაღაც იმ გვარ გორაკზე იყო გაშენებული, ძალის ენის ერთი გრძელი ვეფუდა დაბლა იდგეს მეორე კი ოღორ ჩოლოთ ააყარათო. სოფლის მაღალი ნაწილის იქით გორაკიდან დაბლა აზნაურების სახანაგსათესი მიწები იშლებოდა კამკამა კალმახიან, მდინარით. რასაკვირველია კალმახიც ბრწყინვალე წოდებას ეკუთვნოდა და სოფელი მეტრანე მეზობლის დუქნიდან მოტანილი თევზით თუ დეხიფესებდა.

სოფლის დაბალ გვერდს ზნელი მდინარე ჩაულიდა. ამბობენ ეს მდინარე მეორე მდინარის ნატკლეციაო, მარა მე სულზე ხელს ვერ დავიდებ და ვერ ვიტყვი ეს მართალია თქვა. არ ვიცი და იმიტომ. დამე ამ მდინარის გაღმა გასვლას აქაური მოსახლე უკაცრავათ ვერ გახედავს. ვის არ უნახავს აქ ან ქალათ, ან მამალთ ნაქცევი ჰინკა? სახელი ტალპუზუნდი ჩემის აზრით იმდენად მისი სიმწვერივისათვის არ უნდა დარქმეოდეს სოფელს, რამდენათაც გაუფლო ტალახების გამო. აზნაურობა ხომ და მასთან სასულიერო წოდება და მით უმეტეს „კუპეცები“, გზის კეთების ვალდებულნი არ არიან და ამა ვინაა გააკეთებდა? მართო იორდანეს და ზავარაკის ტალახი ერთ რამეთ ღირდა. ზაფხულში ურემი ჩელტამდის ედებოდა. ამ როგად ამ სიტყვის ძირი ტალპა უნდა იყვეს და პუზუნდი კი აღბად ვეფხვის ტყაოსნის ზევირად მკოდნე რითმის მოაშვიე აზნაურებმა მიუღატეს მეტი კეთილზმოდენებისათვის.

სტრასს ხუთში, როგორც ვამბობდი, ერთხანს სოფელი ფეხის ხმას არ აჰყოლია, სანამ ტრახახაქესა და თავამ მშვიშარაძეს ერთ წვიმიან დღეს ჩხუბი არ მოუვიდა.

ტრახახაძეს თითქოს ეთქვას: „მოქადაგები, როგორც ხმები, კარგდ ლაპარაკობენო“. მშვიშარაძე აღდგომულიყო და მეზობელი რომ არ შემოსწრებოდა, წყალ ჩამდგარ თხრილში წაქცეულს მშვიშარაძეს, თქვენი მტერია, ცუდი დღე დაუდგებოდა. მეორე დღესვე მშვიშარაძემ ტრახახაძის წინ ბოლიში მოიხანდა, კარგი სადილით გაუშასპინძლოდა

და, წინეთ ყოველ საქმეში მიუდგომელი მშვიდარა-
ძე, საუკეთესო მეზობელი გახდა. აღექსანდრემ
მონათლავ ხუმრობით ამბობდნენ მეზობლები.

აღექსანდრეს ათის თაობაში აზნაურ ღინ-
ლილაძის ქვრივის რამოდენიმე ფუთი ჩხავრის ღვი-
ნო მრჰპარეს. აგი ენები ამბობენ აღექსანდრემ
ბევრი ეძება მარა ქურდებს ვერ მიავნო, რადგანაც
ღვინო გენრიელი და კარგი ღირსებისა იყო.

ასეა თუ ისე ერთი ორი ხელწამკრავაძის ვარ-
და აქ ქურდობას ვერაინი, გაბედვასო ამბობდნენ
და მართლა არც კი ჰქონდათ იმის დრო და თა-
ვი. ყველა მზიარულობდა: აზნაურები თავის სახლ-
სა და მამულში და სოფლებში კილა აზნაურე-
ბის სამუშაოზე. ყველა კმაყოფილად გრძნობდა
თავს და მის ნახევრათ დახურულ ხის პატარა შტა-
ტის ეკლესიაში აღდგომა ახალ კვირეს, თუ კარგი
დარი იყო, ხალხი არ ეტოვდა.

გმ, სად არის ახლა ის დალოცვილი დარ-
ბაისლოური ლაპარაკი მაშინ რომ გვიგონებდნი
„აქხონა ღმერთმა ჩვენი სიკო დიდი პურმარლინი-
ნი კაცი იყო ივანეს სულ არ გვანდაო“.

— „თურმე ერთხელ ივანეს გურიელი ესტუმ-
რა. ამაღში ხუმარა კაქუნაიშვილი რეოდა“.—
ღეიწყო სეფერამ,—დამწვარა (კრიჟანგი) ივანესას
ხის ფოთოლ გადაფენილ სუფრაზე ამაღას თითო
ნათალი ღომი დაუწებეს. იმ დროს არა თუ ყვე-
ლას ამთავე თეფში, ჯამებიც არ მოიპოვებოდა.
დამწეულმა მსლებლებმა ღომი ჩქარა გაათავეს.
ამის მნახველ ივანეს ღმილით. ეთქვა:—„როგორ
გამოდლიქნდა ყაძახიო“. კაქუნაიშვილმა იქვე დი-
ჩოქა ცალი მუხლით და გურიელს შეევედრა.

— „სთხოვეთ ბატონო ივანეს ერთი პეშვი ამ ღო-
მის თესლი ვითავაზოსო“. ივანეს გაპკვირვებოდა განა
თქვენ ღომის თესლი არ გაქვთ რომ აქედან არ
წაიღოთო?

— გვაქვს ბატონო, უბასუხა ხუმარამ, მარა
ჩვენ ღომს ყაძახი ნახევარ ქვას სკამს და არ აძ-
ღებს ეს რალაც სხვა ნამეტანი კარგი ჯიშის ყო-
ფილაო. ბევრი იცინეს თურმე. ივანე მიხვდა საქმე
რაშიც იყო და ბრძანა ღომის შიმატება.

ამ ლაპარაკის დროს ეკლესიიდან ისმის მღვ-
დლის უფრო მტრიალის ვიდრე ბრძანების ხმით,
„სიბრძნით აღემართენით“... და ყველა მუხლებზე
ეცემა და მეტანისა შობა.

აი ამისთანა მარგალიტებზე იყო სულ ლაპა-
რაკი და ხუმრობა სიცილი, ან წინასწარ დადგენილი
წირვის შესდგე და ხასან ბეგური, ხალილა...

ეხლა სადღა. ასე გგონია გამარჯობის სათქ-
მელათ აღარ სცალიაო. გლეხი ისე ჩაუვლის
გვერდს ორ სამ აზნაურს, გინდამც არაფერი. ისე
ააშენა ღმერთმა იუსუფხანოვის ოჯახი. ის დალოც-
ვილი სწორედ თავის დროზე გვესტუმრა, თო-
რემ ხელწამკრავაძეებსაც გლახა დღე დადგეზო-
დათ: ამა და ამ დროს ეს ღეიკარგა, იმ დროს ის
ღეიკარგა შენ გეცოდინება ან მეიყვანე ან ქურდი
გვანახეო. ვაგონილა შენი ქირიმე? მაგას რომელი
ქუეაში მყოფი კაცი წამეირდგენს? იუსუფხანოვმა
ისეთი მაგრათ დაქკრა მაგდას მუშტი როაოჰმ...
ერთბაშათ ყველა თავის ბუღეში და პაწიი კილა
უფრო იქით შიამქრინა. მართალია მაშინ რისხვა
უფრო იმისანა კაცებს მოხვდა, ვისაც ის სწამდა
მაშინ სოფელ ტლაპუნუნის დომხალი, რაცარც მე
ჩემი ჩინეთში გადაფრენა, მარა მიიცი ვაცხონე მა-
მა მისი. კინაღამ არ დაგვაქდა თავზე თი გვიმბრის
რაინდები?

ასე ქე იყო, მარა ღმერთი მაგენს გუუწყლა
თუ ქუეა ისწავლონ. ახლა შეგხდება ბატონო ვინ-
ცხა ყაზილარი, უკრავ თავს და ღმერთს დიდი მად-
ლობა უნდა უთხრა მაგიორი თავი თუ წამოგიწა-
კუნა. საღდა ბატონო უწინ რომ შეიღლებდა ყა-
ძახი თავს და სანამ შენ თვალს მოპკრავდი: „ღმე-
რთის წყალობა და დღინქელობა ბატონს, რავა
ბძანდები ბატონო, რავა მშვიდობით რავა კარ-
გათო“. ახლა გინდა შენ ვაგაიარა და გინდა ვინცხა
ჩუნჩურეხაიშვილს მაგინიზა სულ ერთია.

შოდი და ნუ ვასკლები გულზე კაკალი კაცი.
არა სწორეთ დაგვლუბა ბატონო იმ ცხრას ხუთმა,
სწორეთ დაგვაქკითა.

ღმ.



მორიბი კრება

მე ვერ წარმომიდგენია: რა ეშველებოდა საქართველოს, რომ წელიწადში ერთხელ მაინც წერიკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მორიგ კრებებს არ მართავდეს. ბევრს არ ვიტყვი მაგრამ რამოდენიმე წარჩინებული ქართველი ამ უბედურობას ვერ გაუძლებდა...

ისე დიდად ჩვენ შორის საზოგ. და საქმისადმი სიყვარული.

მიუხედავთ ამ სიყვარულისა წლევანდელ კრებებს (თუ არა ცვდები) ცოტა შეუფერებელი გულგრილობის ნიშნები დაძკრავს. უკვე სულ რაღაც ოთხი-ხუთი კრება გაიმართა და ლამის მოზრჩენ დასახულ საკითხთა განხილვას. რომ მკითხველთ თაგი არ შეეაწყინო, მე განვიზრახე ვულატი უპირველეს ქართულ ჩვეულებას — განმეორებას. დიახ, გადამხდეს ღირსეული სასჯელი, მაგრამ მე მაინც არ ვაღვიმეორებ იმას, რაიც შარშანდელ კრებაზე დაესწერე და დაეხატე. არსებითად უმრავლესობა მომქმედ (არა მუშაობის მხრით) პირა ისევ ისინი არიან, ვისი ხატება მე შარშან ამ დროს გავაცანი „ეშმაკის მათრახის“ პატივემულ მკითხველთ. დღეს კი მოვიხსენებ ისეთებს, რომელთა შესახებ შარშან არაფერი თქმულა, ხოლო წელს დემილი შეუძლებელია.



ირაკლი ივანეი რამიშვილი.
(მარჯვენა ფრთა)

გაზეთი „საქართველო“ ყველაფერში მიკერძობებით იქცევა და რა ვასაკერი იქნებოდა, თუ

კრებების შესახებაც მიდგომილობა გამოეჩინა. ასეც მოხდა. ვასული კერის დამატებით ვერცხელში მოთავსებული საუცხოვო შარტკოშნიკებისა ხელოვნის მ. ჭიაურელისა. მათ შორის არის რასაკირველია ჩვენი კრებების დედაბოძი, ენციკლოპედისტი „იზია ოტრესტოვი“ — სა პატივემული ირაკლი ივანის რამიშვილიც. სურათს ქვეშ აწერია: „მზიარული ორატორი“ ირაკლი რამიშვილი. აქედან ცხადია, წარწერის გამკეთებელს ამ მუშაობის დროს ჭკუათან არ აღმოსჩენია.

ბ.ნი ი. რამიშვილი ენერგიული მოლაპარაკეა. ჩვენ ვეცდებით მისი სანიშნულო სიტყვა ცალკე მოვათავსოთ ერთ-ერთ მომავალ ნომერში, ვინაიდან ის არასოდეს არ იქნება მნიშვნელობას მოკლებული. ახლა კი აღვნიშნავთ განსაკუთრებულ ერუდიციას ორატორისა კრებაზე მოლაპარაკეთა გენელოგიის ცოდნაში. ვერ გამოჩნდება ისეთი ორატორი ვერც ადგილობრივი, ვერც პროვინციიდან ჩამოსული, რომ ირაკლი ივანისა იმისი სახელი, მისი მამის სახელი და რამოდენიმე ეპიზოდი მისი წარსული ცხოვრებისა არ იცოდეს. ალბათ ამისთვის უყვარს ის ბნ თავმჯდომარეს და ვანუშაზღვრულ ნებას აძლევს ლაპარაკისა.



ილია ი. ი. რამიშვილი
„ზურგის მხარე“ — ТЫЛЪ

ბ.ნმა ირაკლი ივანისა ლაპარაკის დროს უზომო გატაცება იცის და ეს არავითარ საფრთხეს არ შეადგენდა კრებისათვის, თუ გატაცების დროს არ ანევიორებდეს აგრეთვე ენერგიულ ფესტუკულიაციასაც. ერთ ერთ კრებაზე ამ ფესტუკულიაციის მსხვერპლი კინაღამ შეიქმნა ჩვენი ცნობილი კომინალისტი გიორგი ბეჟანი გვაზავა, რომელიც ირაკლი ივანისი

წინ აღმოჩნდა მჯდომიარე და ისიც ისეთი მწვევე საკითხის გარჩევის დროს, როგორც არის ილიასეული სახლის მოვლის საკითხი.

ჩვენს სურათზე ორატორი აღნიშნულია „ზურგის მხრიდან“ და „მარჯვენა ფრთიდან“ იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ უყურებდა მის მსჯელობას.



„ჩვენი რეზო.“) ბაბაშვილი.

ახლგაზრდა ორატორი, რომელსაც „საქართველო“ სხვათაგან გასარჩევად „ჩვენს რეზოს“ ეძახის, გვართ ვაფრინდაშვილია. იგი ერთ-ერთ წარჩინებულ მოლაპარაკეთ ითვლება არა მარტო წერაკითხვის სიზოგადოების კრებებზე, არამედ ყველა სხვა კრებებზედაც. ბ-ნი რეზო კუბრიაშვილის დინჯი კილო უფრო ინადირებს მსმენელის ყურადღებას, ვიდრე შისი მსჯელობის საზრიანობა და ამაშია ტრადელია ბ-ნი რეზო ქობაშვილისა. უმეტეს ნაწილათ, ბ-ნი ჩვენი რეზო საბაშვილიც ექსპრომტათ, ანუ უკეთ ვსთქვათ მოუზუნდებლათ ლაპარაკობს და თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ საკითხს, მაშინ არ შეგვიძლია ბ-ნ რევაზ ყობაშვილს ჯეროვანი ადგილი არ მივუკეთოთ. ბ-ნ ჩვენ რეზო გაბრუაშვილს ერთი ახირებული ზნეც სჭირს: საშინლათ უყვარს სხვა ორატორთა გვარებში ვადამახინჯება, რომლითაც ცხადია სურს აღნიშნოს თავისი მათდამი „უფებებზე მკილიაობა“. მაგალითად, პატ. თედორე კიკაძემ მან

*) ამ სახელწოდების არჩევის დროს ვაზ. „საქართველო“ ცხადია მიუბნაჰავს კვასის ფორმის „ჩვენი გემოსათვის“.

მოიხსენია „ვილაც კვიენინეთ“ ბ-ნი გ. ჯორჯანაძე „ე. ბუყიაშვილათ“ და სხ. შეიძლება ე-გულშივე იყობითაც მოსდლოდეს ბ-ნ რეზო-საშვილის.



ბ-ნი გიორგი პავლოვიჩ გორდუნიანი

ბ-ნი გიორგი გორდუნიანი გახლდათ წვერი სარევიზო კომისიისა და თუ არ ვცდებით, მას ეკუთვნის ტერმინი „უნუგეშო“ მიკუთუნებული წერაკითხვის საზოგადოების საქმეთადმი. ბ-ნმა ირ, იე რამიშვილმა განმარტა აღნიშნული სიტყვა და ცხადჰყო მისი შეუფერებლობა, მაგრამ შთაბეჭდილება მინც უნუგეშო დარჩა.



ბაბა ნიკიტა თალაქაძე

დევანოზი ნიკიტა თალაქაძე, ვითარცა ბ-ნი გორდუნიანი, სარევიზო კომისიის წვერია. მან კრებას განუმარტა „უნუგეშო მდგომარეობა“ საზოგადოების მუზეუმ-წიგნოსთაყვისა“, რომელსა არა შესძლებია არსებობა თენიერ დევით კარიჰაშვილისა. კამათის დროს მამა ნიკიტა ლაპარაკობს ჰორიზონტალურათ, ანუ უფრო ვსაგებათ რომ ვსთქვათ


ცოტა ბრტყლათ, რითაც შთაბეჭდილება რჩება ვერტიკალური, ანუ უკეთ ესთქვათ ვიწრო.



ბ-ნი კლაბონ ლეჰაა

აღნიშნული ორატორი ჩვენ პირველად ამ წელს ვნახეთ წერა-კითხვის კრებებზე. სამკითხველოთა „უნუგეშო“ მდგომარეობის შესახებ მსჯელობის დროს მან გამოსთქვა აზრი: დაენიშნოს თითოეულ სამკითხველოს წლიურათ 200 მანეთი. ეს აზრი ყველას მოეწონა, ვინაიდან სამკითხველოებისათვის ფული ძლიერ საჭირო და სასარგებლოა.

დასასრულ არ შემიძლია აქვე არ მოვთავსო სახება ბ-ნი ვასო ედილაშვილისა. სადაც უნდა



მიხვიდეთ: წერა-კითხვის კანცელარიაში, გინდ სათავად აზნაურო ბანკში კრების ალაგას, ყოველგან ნახათ ვასოს. ვასო ზის და მუშაობს. მოლაპარაკე

კრებებზე ვასო ჯერ არავის უნახავს. ათორბულო ქართველია ეს ვასო: დილით, გინდ სარამოთი ზის და მუშაობს. როცა კრების დარბაზში ჩაიხვეწა სტრუქტურა კორიანტელი სდგას, როცა ბანკის კედლებში ზანზარებენ, ვასო ედილაშვილი ზის და მუშაობს. აი ეს გარემოება არ ეგუება ქართველი კაცის ბუნებას და მეც ამიტომ ვათავსებ მის სურათს: დახედეთ, ბატონებო, იქნებ მართლაც არ არის ვასო ედილაშვილი ქართველი. ჩვენ ყველაფერს შევერიგდებოდით, მაგრამ ასე გამუდმებით მუშაობა და რაც ყველაზე უფრო შეუფერებელია ქართველი კაცისათვის უ ბაქი-ბუქობა, ჰემშარბათ ექვს გვიღვიძებს გულში.

ჯერ კრება არ გათავებულა და მომავლისათვის კიდევ შეიძლება გამოჩნდნენ სხვა ღირს შესანიშნავი პიროვნებანი.

ეშმაკი.


მოცლილი პასის ფილმსუფია

ცხოვრობდა ერთი მოცლილი კაცი და დაეხეტებოდა მუდამ სოფლიდან სოფელში, დაბიდან დაბაში და ქალაქიდან ქალაქში. ბევრს არ მოსწონდა მისი საქციელი და „კაცუნას“ ეძახდნენ, მაგრამ ის ამას მიანიც და მიანიც დიდ ანგარიშს არ უწევდა, რადგან კარგათ იცოდა თავისთავის ფასი. ხშირათ იტყოდა ხოლმე: „ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილში კი ფქვასო.“ და ისიც ამ ანდაზის თანახმად ცხოვრობდა. დადიოდა და აკვირდებოდა ადამიანთ ცხოვრებას და მის დაკვირვებებს უბის წინგში იწერდა.

როდესაც სიკვდილის მოახლოებება იგრძნო, დალუქა თავის უბის წიგნი და ზედ წააწერა: იმას უტოვებ, ვინც დაფასებსო, და ისე მშვიდათ და შეუმჩნეულათ განშორდა სოფელს, როგორც მოვიდა.

მემკვიდრეები სიხარულით ფეხზე არ იდგენ: — ალბათ ძვირფასი რამ განძი დაგვიტოვა ჩვენმა ნათესავემო! მაგრამ, როდესაც გახსნეს, პირს კატა ეცათ და გულ მოსულეებმა წამოიძახეს: აი მართლა ის „კაცუნა“, ისაო და კონვერტი ქუჩაში გადაისროლეს.

მაგრამ სწორეთ ამდროს შემთხვევით გამოიარა მეორე მოცლილმა კაცმა, აიღო და თან წამოიღო, და სურს გამოაქვეყნოს, რომ მოცლილი მკითხველები გაართოს:



1) „ადამიანი მხოლოდ სამ შემთხვევაშია გულწრფელი“ ერთი მაშინ, როცა მთვარელია, მეორე როცა გულმოსულია და მესამეც როცა ხუმრობს; სხვა დროს ყოველთვის სტყუის, რადგან კარგათ იცის: „სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ყავდეს“.

2) „ადამიანის ქეშარიტი მეგობარი მხოლოდ სიკვდილია: ის არ არჩევს არც დიდს და არც მცირეს, მისთვის ყველა ერთია: მდიდარი, ღარიბი, სულელი თუ ბოძენი, ყველას ერთ გვარი თანაგრძნობით ჩაიკრავს გულში, სხვა ყველა ანგარიშით ხელმძღვანელობს: კოლიც, შვილიც, მამამაც და დედაც. თუ გამორჩენას გამოელიან შენგან, ყველას უყვარხარ, თუ არა—ალმაკერათ გიკქერიან: „ჩემი ურგები ძროხა მეგლსაც შეუჭამაო.“

3. „თუ გსურს სწორი გზით იარო, მაშინ იმ გურულს უნდა მიჰმადო, რომელსაც სადილობის დროს ხელიკი ჩაუვარდა ლობიოში, ამოიყვანა და პირში გამოისვა: ძამიავ, არც შენი მინდა, მარა არც ჩემსას გაგატანო.“

(შემდეგი იქნება.)

მოსტელი კაცი.

† შ ა ვ ი შ ა ვ ი

შაქრუა ბიჭი, ძმა ბიჭი, კახეთიდან თფილისში ჩამოვიდა და „სპირტონოსკების“ ქუჩაზე (იმ ქუჩაზე, რომელსაც ამ სამი წლის წინათ ვაგზლისსა ეძახდნენ), ერთ პატარა ოთახში დაბინავდა. შაქრუას არც კოლი ჰყავდა, არც შვილი. რასაც იპოვიდა და იშოვიდა ვანო ბუქასთან მიჰქონდა—სებად და სხვებსაც ასმევდა. ანკი რა აწუხებდა, სარჩენი ერთი თავი და ერთი შაში ჰყავდა. ძლიერ უყვარდა შაქრუას შავი შაში, რომელიც გალიაში ჰყავდა დამწყვედული.

ერთ უბედურ დღეს „დამწყვედული შავი შაში“ გარდაიცვალა.

დიდხანს იტრა და ივალაა შაქრომ თავისი. ძვირფასი მომღერალი ფრთოსანი. შაქრუა არ იყო მგოსანი, რომ ღღესით შეემკო შაში, მაგრამ რაკი ტირილითა და ვაი-ვივით გული ვერ მოიოხა, გადასწყვიტა, თავისი ჭირი მეგობრებს გაუზიაროს—იტროს შაში და ვაპატიონებული, ანდრო-აგებუ-

ლი დაასვლავს. შეიძლება ვინმე მეგობართაგანმა შაშს „რეიცი“ კი უთხრას, —~~ფეხქვეშა~~ შაქრუა, ზედაშეც აუცილებელია.

გაუკეთა შაშს კუბო.

მოიწვია მეგობრები.

იტრეს მეგობრებმა შაში: დაღვრეს ცრემლი. შაქრუას თანაგრძნობა გამოუტყდადს და როგორც ჩვეულებაა, „გადასახურავიც“ (წასაბურავი) მიაოთვეს: ვინ მანეთი, ვინ მეტი. წესივემა ყველას აჯობა და ხუთი თუმანი ვადუხადა. მოიწვიეს მღვდელი, აუგეს შაშს ანდროძი და ვაპატიონებული მიწას მიაბარეს.

ვლომობილი მეგობრები მოუსხდნენ სუფრას და შაშის შესანდობარი გადაქრეს.

„ღმერთმა აცხონოს შაშია,

ჩვენ რომ გავვიძლო ფაშია“...

აჰჰია.


გეორგას გასაჭირი

ოჰ, ჩემ ფეფვლას რა უთხრა ჩემი ამ დღეში ჩადგებისათვის! არა, მინც რა ნაირათ ატყდა კაცო! ვიანა გამოუტყდადა თუ არა, სულ იმას ჩამოჩინებდა თუ: „თათრის პოზიციანზე წადი, რომ ფულეები იშოვოო“. კაცო და ეს შეჩვენებული ჩემი დედაკაცი პოზიციანზედა მგზავნის, თითქოს ერთი დიდი ვაჟაკი გეროი ვიყო! ბევრი ვატყუილე, ფეხი ავითრიე, მაგრამ ბოლოს მინც იმან მაჯობა!.

დაღამდა პარასკევი საღამო, ვახსენე წმინდა შაგ-ნამადას მადლი, გამოვსახებ პირჯვარი და წიველ ვაგზალში. ავიღე სარაყამიშის ბილეთი და მიველ ყარისის პოეტზე. მინდა რაღა, რომ წვიდე თათრის პოზიციანზე და ჩემი ფეფვლას სურვილი შევასრულო. მიველ, მაგრამ შასელა არ გინდა! ვაგონის კარებში ისეთ ნაირი გლეჯა-ფლეთაა, ისეა დომხალივით არეული ქალი და კაცი, ისეთი წივილ-კივილია და ისე გადადიან ერთი-მეორეზე, რომ გვეგონება ახთურმას თამაშობენო! უცებ შავფიქრიანი კაცი. ვიფიქრე: კაცი ფულის მოსაგებათ მივდივარ და ვაი თუ ამ არეულ ხალხმა გამოვიღო ფეხ ქვეშ, და ნაწულეები გადამაყვრევენა შეთქი! ამოტკოვო ხალხი პატრ ყველა თოჯირაღში იჯდა მე კი ფხიზილების მოსაქრელი დანით რა ვაჟაკობა უნდა გამამეჩინა! დავდექი

და უყურებ. მე ვთქვი ეს არეულობა გათავდება და სლაბოდნათ შავალ მეთქი. ვაჰ, ამ რაზმიშლენიაში რომ ვარ უცებ ტრეტი ზეწაოკი არ დაჰკრეს!! აბა, გიყვარდეს ჩემი გაქცევა. მამენტალნათ მივევარდი ვაგონის კარებს, მაგრამ ბანჩუნეს! ვინ გიღებს კარებს. კიდენ მადლობა უფელს, რომ ნაცნობი ბიჭები გამამიჩნდნენ, თორემ ბილეთ აღებული კაცი ვრჩებოდი რაღა! მერე ჩემი გულის პატრონი, რომ არ წაესულიყო ჰიქინანუ გავსქლებოდი რაღა! ძალიან ფინთი ხარაქტირი მაქვს, რომ ვიტყვი უნდა შავისრულო. იცით რა ოინები მიქნია? ერთხელ მენახნირე ბაღუას ვირზე შეგვექი და ამოვკარ ქუსლი. მართალია სიჭკარეში პირი კუდისკენ მამივიდა, მაგრამ მაინც არ შამშინებია. რა გაუაქენე ამ არსენლის აღმართისკენ, სულ ხვითქი გადავადინე. მირბის, მაგრამ რა მირბის! სულ თან მიაქვს არე-მარე. ეს-ეს არის უნდა გადომავდოს ჩაფა და ცოლშვილს გამამასალომოს, მაგრამ რომ ჩავფორინდი კულში უტობლენიკივით, კინაღამ გამოვამრე კუდი უფლის მადლმა! ბევრი ტლინკები ყარა, მაგრამ მე ჩემი ნათქამის კაცი ვარ, რომ ვსთქვი, მაინც გაუაქენე იმ აღმართში. ჰოდა მე რომ ამ გულის პატრონი, ბილეთ აღებული არ წაესულიყო სარაყამიში ნამდვილათ გულის რაზმიუნია მამივიდა. კიდენ მარე რომ იმ ჩემა ნაცნობებმა ვეკაცობა და სიმარჯვე გამაჩინეს. მამენტალნათ ვაგონის კარების აკოშკა ვახსნეს, დამავალეს ხელი და კვდარ კატასავით გადამათირეს ვაგონში. ამიყვანეს, მაგრამ დედგომა არ გინდა! ისეთ ნაირათ არის ხალხი ჩაწყობილი, გეგონება ფიხულიათ. მე კაცების თავებზედა ვგარაოფ რაღა! სულ ნაკლული ტიკივით მაქანქურებენ და ხან აქეთ მისვრიან, ხან იქით. ბოლოს როგორც იყო კიდევ ჩემბმა ბიჭებმა აიღეს და როგორც მარგოლი ჩაარკო, ისე ჩამარქვენს ამ ხალხში. ისეთ ნაირათ ვარ გაქედილი, ისე პლოტნათ ჭარ ჩასმული, თითქოს ვინტოკის ტყვია დევს რულაშიო, ფეხები საესემ მოცილებული მაქ პოლზე და ისე ვტივტივებ ამ ხალხში გეგონება ჩოფურაშვილის ბოათის პროკაია. ისეთ ნაირ კუბლა ბარიშმებს ვეხახუნები და ვეხეთქები, რომ სულთ ცოდვილო არმიყობის გუნებაზედაც მოველი. მინდა რაღა რომ ერთი სხვანაირი ფრანკიული ფართი-ფურთის კოლდისმენტები უთხრა, მაგრამ ხელებს ზევით ვეღარა ვწევ. ისე მაქვს დაქერილი, თითქოს

არტაშენები შემოუჭერიათო. ცოტა მივიწ-მოვიწიე და ჩემ-ჩუმათ დაბოლიდან ვაქეჩქედილი! ისე მაქვს გამოპლანული, რომ ეს ჩემი ხელი ნამდვილათ იმ ბარიშმას უნდა მოხედვს, რომელსაც მე ვეწარმოებ. საქმე გაჩარხულია, გულს სულ ტაკი-ტუკი გააქვს, რომ ამ დროს იგრილა ხალხმა, დამიხნებულმა ხელმა ნაპარავენია დაკარგა და ვილყვა სხვას დაეტაკა თურმე. ვუცაცუნებ ხელს და რაღაც ხელობას, მე შეგონა ბარიშმას ვუცაცუნებ ხელს მეთქი და თურმე ვილყა ბებერი რაპარაკისტის მისაცუნებია, მაგრამ მე რა ვიცი. იმას ჰგონებთ თუ ვილყა ჯიბგირი მიყოფს ხელს ჯიბეშიო და დაიწყო ღრიალი: „ახტი კარმანჩი, მერზავეც, ნეგალიაო!“ კიდენ ჩემი იღბალი, რომ ძალიან იყო ამ ხალხში გაქედილი და ხელი ვერ ამაძრო, თორემ ზედ შუაზე გადამქირდა. როგორც იყო შეხებუა ხალხი და დაშოშინეს. მეც ვაზებდე რომ ჩემი საქმე ფინათ მიდიოდა და როგორც იყო თავი ვაძერინე. ვდგევარ ჩემთვის და ვფიქრობ გადავიჩინეთქი, რომ ამ დროს იგრილა ხალხმა და ზედ უბორნის კარებზე მიმახეთქა. კარები ოდნავ მოხურული ყოფილა და რომ დავეტაკე კარებს როგორც შურდული ისე ვავევარი უბორნაში. ისეთ ნაირად დავსქიდი, რომ შარვლის ღიღებმა სულ ტაკა-ტაკუც დაიწყო. ახლა აღარ გინდა გამოხვიდე ვარეთ ჩავიჩი შიგ და ამ დუხისა და ლდოკლონის წუხანიით ჩავედი სარაყამიში. იქ პატარა საქმე ავიღე და ისევ უკან დაბრუნება დავაპირე. მოველი ვავახლზე და რის ვი ვავახლათ ავიღე ბილეთი. ვიფიქრე ელა კი შშვიდობიანათ წაველ მეთქი, მაგრამ აქ უარეს ნეხსტიას წავეწყდი. ახლა მინდა რომ მესტა დავახანიატო, რომ კიდევ ისეთი ოინი არ მამივიდეს როგორც ქალაქში. მივევარი ვაგონის კარებზე და ხალხი მივიწ-მოვიწიე. ისეთ ნაირათ მივეძრები და ვშლი ხელებს, თითქოს ავლაბრის მორევი ვიყო და ვიბრჩობოდე, ერთიკ ვნახოთ რაღაცამ ჩემიკაცუნა თავში, მოვიხვიდე სალდათი მექიღება და კამენდატი ყვირის: „დავი ეგო სუდაო!“ ჩამოსკუქვს ძირს. სხვები შაუშვენს და დაკეტეს ვაგონი. პოეზი მიდის, მე ვდგევარ ბილეთით და ვტირი რაღა! ვებეჭებ: ვაგონიდან კამენდატ პუსტიტი პაეოლუსტა. მოი ყენა ნავამი ჩოკოლი, ანა სეკოდნა რადიტ მინე ნასლენიკი მეთხრა, მაგრამ ვინ დამიჯერა დაიყვირა: „უზმიტი ელა ნა პერენდი პოხიკიაო!“



გურული სენა

(საკაიღლისო მოთქმა, ვი ვუის ხმაზე)

ვა, ხალხნო, ქრისტიანები არა ხართ?! მიშველეთ რაღა! ვინ მე და ვინ პერდნი პოზიციას! ნუშეელი ჩემი სიყმე, ჩემი მურაზი ასე ერთბაშით უნდა დაქნეს!! მოდი ეხლა და დედაკაცს დაუჯერე! ეს სულ იმ ღვთისგან შაჩენებულმა მიყო, თორემ მე სარაჟშიშვი რა მინდოდა,

ოხ, ფეფელი, შენ დაიწვი გახურებულ საკირეში და არ ნახო ჩემის ცოდით კარგი რამ შენ სიცოცხლეში.


რათა, რისთვის, შე უღმერთოვ. ეს რა მიყავ, საღ ჩამავდე? ნუშეელი ზარბაზნების დასაფლეთათ გადამაგდე!

ჩემი დღენი თავს გველები, კუკლასავით შავინახე, რაც შევირთე ამა მითხარ ქალბებში თუ დამინახე?

შენ შავწირე ჩემი სიყმე, უღლაში და ნაბუ-ქუდი, შენ კი ცეცხლში გადამაგდე და სხვას გაუქნე კული!

ახ, თუ დაეძვრ მე ცოცხალი და შამოყავა ქალას თავი, მოკვდე თუ არ მოგხარაშო წანდლი და შილაფლავი.

გოგია.



როცა მე, გარდა ჰამისა და სიკორწილაზე კორწილის მეტი აფერი მაწუებდა, მოგეტეს ღმერთის წყალობა შობა-კალანდის გათენება მე მიხაროდა.

ბარბარობას რომ ჩენსას სასუქში ჩასაგდები ქათმების კრიახი შეიქნებოდა, იგი კრიახი ტელემაკ გურიელისა არ იყოს, ჩემის ყურიზა ბეთხოვენის მუსიკა იყო. ქათმების მერე მაშკა ღორს ჩააგდებდნენ სასუქში. ღილას აღრე ავგომა იმიზა მიხაროდა ღორიზა კეკალი დამეყარა და, სუქ, სუქ, მაშკა მეთქი მეთქვა... ღორიც ყოველ დღე სუქდებოდა და თან და თან რამდენიც დაკვლის, ესე იგი მაშინდელჩენებურ ენაზე „ლიტი-ლიტის“ დღეი უახლოვდებოდა, იმდენზე ვაჟკაცდებოდა და მტერს როთინობდა... მთელ ორმოც დღეს მარხვას წმინდა ბერივით ვინახავდით. შობა დილას გახსნილუბას აბარადა ჯობდა. ცხონებული ნენაი (ჩემი დატიებია თვარ წაწყუტა) ძალის იალონზე გაგვალვიძებდა, ხელ-პირს დღეიბანდით, პიჯგარს დევიწვრდით და მერე რიგ-რიგობით მუტელებზე შემოგვარებდა მუტელის სალოცავ დეძქლებს და თან გვილოცავდა:

— შენი მუტელის ტკივილი შეილო აღმა ქარს დაბლა წყალსო. მერე დავედებოდით— გევისნიღებდით— ხაციას ვიახლებოდით... საკალანდოთ, იყო და კიდევ მეტი საამოვნება გვედგაწინ: ცხემლის ქრა დილას მთელ სოფელში რომ შეიქნებოდა ღორების ჰყვირილი ასე იფიქრებდი ქვეყანა იქცევაო. საწყალ ქათმებსაც ყველას იმ დღეს დასპრიდნენ კისერს. მთელი დღეი ყველა დიდი და პაწეი საქმეში ვიყავით, განათხოვრებულს მეზოფლისას აფერს ვტივებდით. საღამოს სახენ სუფრას მოუჯდებოდით ტკბილათ-უკლისათ და ძველ წელს თოფის სროლით გევისტუმრებდით— მთელი ღამე აბა ვის ეძინა გვეშინოდა თოფის სროლა არეკაცმა მოგასრას და არ გვაჯობოსო... შობაზე კიდევ უფრო აღრე გვეიღვიძებდით გველოცავდით. ვინ იცის ოჯახს იმ დღეს რა და რა ბენიერებას არ შეეძენდით, რა და რა სოის სიმდი-

დრეს არ შევებტებდით. რა გინდოდა რომ ოჯახში გამლოცავს ჩიჩილოკთან ერთად არ მოჰქონდა. თოფების გვახა-გუზი მთელ მიდამოს აყრუებდა. შპკრით და ფორჯიანი კამფეტით სიტკბოს დავიბედ-ინერებდით, ღორის კელევერით და ქაუ-ქაუი ღონით ვავტლებოდით და წირვავხ ისე გიანდლებოდით. ნაწირობებს შეიქნებოდა მილოცვა კონცა, შელუ-ლი, ყანური სიმღერა... მერე კიდევ შინ ქეიფი... მთელი დღე კარწიალი. საღამოს ავუნა-ავუნა, ეი ვახს ეი ვახს რამდენი ერთი გვეცხისენო.


ახლა კი, ან მე, ან ახლანდელ ბაღნებს რა აქვთ სასიხარულო. ჩემ დროს ბაღნად რომ ითვ-ღებოდა ქაქუნს თამაშობდა ახლა იმ ხანის კაცი მოხუცებულია, ქაქუნი თამაშაშოს კი არა ორივე-აყენებს ლოგინიდან. ბაღნები ახლა სად არის. ზოგს კლასში არჩობენ და ზოგს კიდევ იქნენ შენ რომ იცი. უწინ კი დღეის მოსლა და გათენება გვიხაროდა, სული ელეთ მეღეთად გვექონდა—ახ-ლა შენ ასე დამიწყველიხარ: ღმერთმა მრავალი შობა-კალანდა ვაგითენოს მეთქი. მე კი, ჩემო ბი-ძია, მგორე არ მაღირსოს ჩემდა ვასამწარებლათ. ასე დაბილოცავს ჩემი თავი. ადვლი ხომ არ გო-ნია ახლა შობა-კალანდის ვასტუმრება. მაგინის ვასტუმრებას ახლა ჯობს ვასათუარი ციციის ვას-ტუმრება, პლასტუნების ეგზეკუციის მოშორება. შობას ღვეძელი უნდა, ღვეძელს კვერცხი, ქვილი და ყველი. კვერცხი უწინ შაურათ ექვსი და შვი-ლი იყო ახლა შაურად უსენე, გალოკე და გზას ბარაქა დააყარე. ყველი კიდევ იაფია მანეთად ერ-თი ქაქუტი უწინ რომ ახაზათ ხუთი იყო იმის-თანაი, იგიც დელოცა სამტრელია, თვითონ არ ქამენ და ჩვენ გვაპურებენ. კი თუ გინდა გაყი-დე უღლათ ხარი, იქნება ქე გყავს თუ ბეთაღმა პირის წამალი არ აუტრა, იყიდე ყველი და კვერც-ხი, პურის ქვილს ხომ ვეღარ იშონი? კომპერატია რომ არ ყოფილიყო ვინცა ვაქარი, ვავეთებდით სასხიდან გაუწენელს გააჩენდა და მეიტანდა, ახ-ლა აარც კომპერატიას აქვს და აღარც სხვას.


იშონე თუ გინდა, კეცი ხომ უნდა ქეა იაფი ხუთ შაურიანი მანეთ ნახევრათ ქე იყო. ეშპტი თუ იშონე სამ შაურიანი თორბეტი ახაზია. შეშა, ოი ღმერთო გააშეშე ვინცაბ ქვეყანა ასეარა. ოთხაბა-ზიანი ურემი რვაი მანეთია. ქათამი, გოქი, ინდაუ-რი ხომ იაფია და იაფი, წულას ნულარ იკთხავ

გინდა წული ჩავიცვამს გინდა ამერიკიდან გამოწ-რილი პოდსაბოქვი. ჩითს, ნაწილს, ვაწილს, ცეცხ-ლი ეცილება, ღმერთო, ცეცხლს ნუ შიაკლენ ვაქ-რების დელუსტრახავ სახლს.

კი თუ გინდა ყორიფელი იეფია, ყორიფელ-თავზე საყარით იშონე მითხარი რა შევარგებს, რა-ფერ უნდა იმხიარულო, როცა აწერი არ იცი ვინ კეტარია და ვინ ცოცხალი. ღვინო რომ და-ლიო ალავერდს ვის ეტყვი, სიმღერა რომ დეწუ-ვინ მოვაძახებს? ქვეყანა ვაცარიელებულია შინ მარტვაი დედაბერი და ბერიკაცა. სხვაი ზოგი მა-ლოთაი წყოყენეს, ზოგი მისით წვეიდა, რასცა ვი-შონი და თავსაც ვადვირჩენო. გოგუბიცი ახტ-რუცდენ... შებრუნდა კეხი: უწინ თუ საცოლოს ეძებდენ, ახლა საცოლო თვითონ ეძებს საქმარის. ამისანაი ვაჯახირებული შობა-კალანდა ვისაც უნ-და იმას ვაგუთენდეს ბარე ასი.. მე კი ბაღნების რომ არ მესათრებოდეს ერთ მაქახელას კალანდის მოგონს ვებრებდ და მეორეს მე ვიბრებ... აფე-რი არ ვიცი სად არის თვარა, ერთი ფიშტო ფი-ლიბე გოგინაშვილს უნდა ვსტყუო... იმ ყურ-მუსლის რჩევით შევირთე ქალი, მისი ბრალია შვილები რომ მყავს (სხვაფერ არ იფიქროთ ჩემი დარეჯანაი თვალითაც არ უნახავს), დოუჯერე მე სულელმა: „ჯარი შვილების ყოლა დიდი მოღვაწე-ობაა სამშობლოს სიყვარულითა. მე აბაღლას მეგო-ნა ფილიბე ჩენი ქვეყნიზა ზრუნავს მეთქი, თურ-მე რუსების აგენტი იყო. გვირჩევედა სალდათენი ვაგეწინა. მან ქე მთეგო ამით, სახელიც ვეითქვა და მას, მის მძებს, და ყველა მის ნათესავებს თუ-რმე ყველას დიდი ჯამაგირი აქ. მე კი გამიწარდა სიცოცხლე. ნეტაი რომ დამიღამდებია აღარ გამი-თენდებოდეს. დიესწარით მრავალს თუ კი გინდ-ბიან, მე კი რაკაცმა მობილოცოთ: არც ჩემსას მოხვიდეთ თვარა თავს ვაწილებთ: დავალევივნებო სკუჩაის წყალს.

30ხა.





„თ ა ნ ა მ ე ლ რ ო ვ ე ა შ რ ი“

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

გაზეთი ღირს **კოპოკო** თფილისში, ისე კოპოციციში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 4 მან 20 კაპ., ერთი თვით 1 მან. 40 კაპ

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაისაღონ, ნისათ აზაფის გავგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: **Тифлиси, почтовый ящик № 199, Власию Малакиевичу Бохоадзе.**

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „მანათლმბაში“ ოფლ.ს ქუჩა № 6.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველდღიური სანაწიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

(1917 წ. წელიწადი მესამე)

უჩველკვირულ სურათთაგინი დაგატგით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საპოთარი კოპასკოდანთბი მხავს **საქარემლოს მინიშნალოვან დაბა-ქალაქებზე და სოფლებზე და აგრეთვე ვებრობადა და მოსოვში.**

გაზეთის ფასი: მთელის წლით—15 მ., ნახევარის წლით 9 მ., სამის თვით 5 მ., ერთის თვით ქ.ში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით: ხელის მოწერის ღირს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის ღირს.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს. -დ. საღ. 5—7-დ.

რედაქტორი: **სანდრო შანშიაშვილი** გამოცემული: **ამხანაგობა „საქართველო“.**

ეროვნული
აღმშენებელი

სოციალ-დემოკრატიული იუგოსლავიური გამომცემი

ეშმაკის მათრახი

მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

შურნალის სამხატვრო და სალიბრატურო მხარის განაგებს ეშმაკი,
ხლოდ გამომცემის საქმის კანონი „გ ა ნ ა თ ლ ე მ ა“

შურნალის ფასი: 12 თვით 7 მ. —
6 თვით 4 მ. — კ.
3 თვით 2 მ. — კ.
1 თვით — 70 კ.

ეშმაკის მათრახში დაბეჭდება მხოლოდ იუგოსლავიური
ტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები,
ზოპრები, არაკები, შარადები, გამოცანები,
ნაკვეთები და სხვა.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით:

თიფლისი

*)

С. Р. Таварткиладзе,
Ольгинская 6,
Почтовый ящик № 96
(ეშმაკის მათრახისათვის)



*) ეს ადგილი კონვერტზე მარჯვნივ არის დანიშნული და გულმავიწყებს მოეგონებთ, რომ უმარჯო
წერილებს რედაქცია არღერსნის.